# თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა!

## „ქართული ოცნების“ ძირითადი მიღწევები:

### დემოკრატიული განვითარება



1. 2012 წლიდან საქართველოში დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა თვისებრივად გაუმჯობესდა: 2012 წელს საქართველო 24 000 პატიმრით ევროპაში პირველ ადგილზე იყო. დღეისათვის ეს მაჩვენებელი ორნახევარჯერ, ანუ 9 700 პატიმრამდე შემცირდა. 12-ჯერ შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობა და წელიწადში 140- ის ნაცვლად 12-ი შეადგინა. აღიკვეთა პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა: 2012 წლიდან დღემდე ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრის წამების ან არაადამიანური მოპყრობის არცერთი პრეცედენტი არ ყოფილა;

2. ციხეების გადავსების, „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის, ქუჩაში ადამიანების დახვრეტისა და ხელისუფლების ტოტალური თვითნებობის პრაქტიკის აღკვეთის ფონზე, ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება სტაბილურია. ამის დასტურია ის, რომ 2012 წლიდან დღემდე მკვლელობის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისა და სხვა დანაშაულთა სტატისტიკა არ გაზრდილა;

3. 2012 წელს აღიკვეთა ბიზნესის მასობრივი რეკეტის პრაქტიკა. დღეს ბიზნესი ხელისუფლების წნეხისგან სრულიად თავისუფალია. 4 წლის განმავლობაში ბიზნესმენზე ზეწოლის პრეცედენტი არ ყოფილა;

4. ქვეყანაში უზრუნველყოფილია მედიის თავისუფლება. თუ 2012 წლამდე სამივე ნაციონალური ტელეარხი ხელისუფლების სრული გავლენის ქვეშ ფუნქციონირებდა, დღეს მედიასივრცე ხელისუფლების კონტროლისგან სრულიად თავისუფალია;

5. სასამართლოების პერსონალური შემადგენლობის არსებითად შენარჩუნების მიუხედავად, სასამართლო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან;

6. აღიკვეთა ტოტალური თვალთვალის, მოსმენისა და შანტაჟის მახინჯი პრაქტიკა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის მთავარ იარაღად იყო ქცეული. დღეს ადამიანებს ხელისუფლებისგან უსამართლო მოპყრობის შიში აღარ აქვთ - სახელმწიფო სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას არალეგიტიმურ ძალადობასა და სისასტიკეს აღარ უპირისპირებს;

7. აღიკვეთა არჩევნების გაყალბების პრაქტიკა. საყოველთაო აღიარებით, 2013 და 2014 წლების არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საარჩევნო ადმინისტრაციას ენდობა.

### სოციალური განვითარება




**2013-2016 წლებში ხელისუფლება ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და კულტურის სფეროებში ქმედით პოლიტიკას ახორციელებდა:**

1. ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2 200 000-ზე მეტი შემთხვევა დაფინანსდა. გადარჩა ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე, შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა;

2. 2016 წლიდან ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო ძუძუს ადრეული კიბოს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების ძვირადღირებული მედიკამენტით უზრუნველყოფა. ძუძუს კიბოს მქონე საქართველოს მოქალაქე ქალბატონებისთვის (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მოსახლეობისა), ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტის ღირებულების 80 %-ს აფინანსებს.

3. ამოქმედდა C-ჰეპატიტის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც პაციენტები მკურნალობის ძვირადღირებულ კურსს სრულიად უფასოდ გადიან. პროგრამით უკვე 8 000-მა პაციენტმა ისარგებლა. აქედან, 90%-მა ვირუსი დაამარცხა;

4. შეიქმნა „სოლიდარობის ფონდი“, რომელმაც სიმსივნით დაავადებული 275 ბავშვისა და ახალგაზრდის მკურნალობა დააფინანსა. ფონდის ამოქმედების შემდეგ, უსახსრობის გამო საქართველოში სიმსივნით არცერთი ბავშვი არ გარდაცვლილა. ასეთი პროექტი მანამდე ჩვენ ქვეყანაში არ განხორციელებულა.

5. ხელისუფლების ქმედითი ნარკოპოლიტიკის შედეგად, 99%-ით შემცირდა ე.წ. „კრაკადილის“, „ვინტისა“ და „ჯეფის“, ხოლო 90%-ით - ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება;

▶▶▶ გვ-3


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №37 (10178), 12 სექტემბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.


## ძვირფასო პედაგოგებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



ყოველი ახალი სასწავლო წელია რის თქვენს ცხოვრებაში ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის და საწყისი!

გამორჩეულად ვულოცავ დღევანდელ დღეს ჩვენს პირველკლასელებსა და პირველკურსელებს — მათთვის დღევანდელ დღე სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია! მინდა ეს დღე მივულოცო მშობლებს და ვუსურვო მათ იმედები სგამართლება. ხელისუფლება მოსწავლეებსა და სტუდენტებს აძლევს ყველა საშუალებას, უქმნის ყველა პირობას რომ ხარისხიანი განათლება მიიღონ და ამაში დებს მთელ ძალისხმევას!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას დაგისურვებთ, ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს საინტერესო და წარმატებების მომტანი!

**გია სალუქვაძე,**
გურიის გუბერნატორი.


ⓡ

მაღაზია „ნეპტუნი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წელს!



ინდმეწარმე „ავთანდილ ჭანუყვაძე“ მუდამ თქვენ სამსახურში!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*

## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი დილა ალიონზე

«ალიონით»

# „საზოგადოებამ კარგად უნდა გაიაზროს, ვინ აირჩიოს, ვინ უნდა მიხედოს ქვეყანას“



**ალიონი.** 5 სექტემბერს, ტელეკომპანია **„GDS“** პროექტის ფარგლებში, ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი გურიის რეგიონის მედიასაშუალებების („ალიონი,“ „გურია ნიუსი,“ „ჰო და არა,“ „გურიის მოამბე,“ „ლანჩხუთის მოამბე,“გურიის ტელევიზია,) და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. გადაცემა მიჰყავდათ ჟურნალისტებს ნათია თოიძეს და მიშა ფეიქრიშვილს.

გურიას პოლიტიკურ მხარეს, აქ საუბრობენ პოლიტიკაზე, აქ აკეთებენ კარგ პოლიტიკურ ანალიზს, გვინდა სწორი აქცენტები გააკეთოთ ყველა ძალაზე, რომელსაც უნდა სწორი გზით წაიყვანოს ჩვენი სახელმწიფო–აღინიშნა გადაცემის დასაწყისში.

ბიძინა ივანიშვილმა გადაცემის დასაწყისში ნაცმოძრაობაზე ისაუბრა.

–როცა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, საფრანგეთში ვიყავი. სამი ტელევიზორი მედგა და ვხედავდი, როგორ შევიდნენ პარლამენტში. ძალიან ემოციურად ვიყავი: ზედმეტად გამიხარდა. ამ გზით მოსვლაც მივიღე, ისევე,როგორც მიიღო საზოგადოებამ.ორწელნახევარის განმავლობაში მთელ ხელისუფლებას ვაფინანსებდი რეალურად, რასაც ვმალავდით და კარგად ვფუთავდით. პირდაპირი მნიშვნელობით სააკაშვილს არ დავხმარებივარ არაფერში და მაგას ვერც გაბედავდა, პირადი რამ ეთხოვა. ჩემმა პოზიციამ მაგის გამოაშკარავების პროცესი გაახანგრძლივა.

მათი სახის გვიან გამოჩენაში დიდი როლი მიმიძღვის, რამეთუ დიდ ანგარიშს მიწევდნენ და კარგადაც ხედავდნენ, რა მინდოდა რას ვითხოვდი მათგან. სააკაშვილთან არ მქონია ცუდი დამოკიდებულება მათი მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ქვეყანას ძალადობით მართავდნენ. დღესაც თუ ნახავთ მათ ხელწერას, მხოლოდ ძალადობას ვერ ანებებენ თავს-თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

– გამოვიდნენ და აღიარონ, რომ აწამებდნენ, კლავდნენ, ძარცვავდნენ. ახლა რას გვპირდებიან–აღარ გააუპატიურებენ პატიმრებს? მშობლებს აღარ მოუკლავენ შვილებს? აღარ წაგვართმევენ ბიზნესს? ეს შეცდომა შემოიტანეს ისე ლამაზად, ლაღად, რომ თითქოს რაღაც შეეშალათ. განმარტონ ძალიან კარგად, რა შეცდომებზე ამბობენ უარს! –აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა ნაციონალების თემას იგი მის მიერ დაფინანსებული ფილმის „ჰეროკრატია“ თემაზე ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვისას კვლავ შეეხო:

–ეს ფილმი უფრო ადრე რომ ყოფილიყო, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. არჩევნების დროს მახსოვრობას აღვგვიდგენს, რომ ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთოს და მოკლე მეხსიერებით არ ვიცხოვროთ. იყო შეკითხვებიც, რომ ხომ არ გამოიწვევს ეს ფილმი ქუჩაში გამოსვლებს და აქციებს.- ჩვენ არ ვართ ახალგაზრდა „ჭყვინტი“ერი. ძალადობა თუ იქნება და ქუჩაში გამოსვლები, ეს იქნება არა მოქალაქეების მხრიდან, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ პასუხი აგებინონ. სახიფათონი, დაჩაგრული მოქალაქეები კი არ არიან, სახიფათონი ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან, რამეთუ ამ ოთხი წლის განმავლობაში სულ ძალაზე იყვნენ მიმართულები. მათ უნდათ რომ ეს არჩევნები სწორად გაფორმდეს, უნდათ, როგორმე სიტუაციაააყირავონ, მაგრამ ამას ვერ მოახერხებენ. “–აღნიშნა რესპონდეტმა.

-შეიძლება ეკონომიკა არ იყოს მომხიბვლელი დღეს, მაგრამ ჩვენ ვართ ლიდერები ზრდის ტემპში, რომელიც არასდროს ყოფილა წინა ხელისუფლების დროს. როცა ევროპაში კრიზისია, როცა რეგიონში კრიზისია, იქ ერთი ქვეყანა ვერ გაიზრდება ძალიან მაღალი პროცენტით. ამ პროცენტში საქართველო არის ლიდერი, კორუფცია ნულამდეა დასული. თუ სამუშაო ადგილები 2006-2012 წლებში 26 ათასით შემცირდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, ჩვენი მოსვლის შემდეგ ბევრით არა, მაგრამ 65 ათასით გაიზარდა სამუშაო ადგილები და ეს არ გაზრდილა სახელმწიფო სტრუქტურების ხარჯზე. ვალების ეკონომიკიდან გადავედით ინვესტიციების ეკონომიკაზე.

როცა რეგიონში არის კრიზისი, მაშინ ეს ქვეყანა ვერ იქნება წარმატებული. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ბიზნესს დღეს არავინ ეხმარება.ბიზნესი განვითარდება, როცა ევროპაში კრიზისი დასრულდება.

ჩვენ უნდა მოვახერხოთ, 15-20 წელიწადში ჩვენი ეკონომიკა ევროპულს მივუახლოვოთ. 60-65 პროცენტით გვაქვს ზრდა და 3-4-ჯერ შევამცირეთ ვალების აღება. ამ მიმართებით საქართველო 18 წარმატებულ სახელმწიფოში შედის. 2011 წელს მაკროეკონომიკაში 137-ე ადგილზე ვიყავით. საქართველო შედიოდა 70 ყველაზე მაფიოზური სახელმწიფოების რიგებში. დღეს საქართველო შედის მსოფლიოში 17 ყველაზე დაცული ქვეყნების სიაში, სადაც კერძო საკუთრება და ადამიანის უფლებებია დაცული. მაკროეკონომიკური გარემო კი განსაზღვრავს ინვესტიციების მოდინებას ქვეყანაში.

ბიძინა ივანიშვილმა ვრცელი პასუხი გასცა გაზეთ „ალიონის“ კითხვას პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით:

–„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერები ამბობენ ივანიშვილის პირადი პატიმრები არიან.

„ალასანიამ იცრუა მოსამართლეზე, ექსპერტზე... ამ კაცს რამე დაეჯერება? გუნდის წევრებმა მშვენივრად იციან, რომ ჩემი პირადი ინტერესები არ არსებობს, თუმცა მაინც მიყვებიან ლიდერის დინებას. გუნდის წევრები ერთ კაცზე მორგებულები არიან, ცდილობენ არ უღალატონ ალასანიას. ასეთი გუნდი უფრო დიდი და ძლიერი, აგერ ცხვირწინ გვყავს და ცხრა წელია გვყავდა. ასეთი გუნდი სახელმწიფოს არ ჭირდება მართვისთვის. ჩვენ ჯგუფური მმართველობის შედეგი ვნახეთ უკვე, ის რომ ალასანიას გაუჭირდა და მთელი გუნდი აეკრო უკვე ვნახეთ. ასეთ გუნდს საზოგადოებამ ხმა არ უნდა მისცეს. გასაგებია, რომ მეგობრები არიან, თუმცა სახელმწიფოს სამართავად ნუ მოდიან. მათ უნდა აჩვენონ საზოგადოებას, რომ ყველასთვის თანაბრად ზრუნავენ და არა მხოლოდ თავის გუნდელებზე. ეს აჩვენა „ქართულმა ოცნებამ“ იგივე ხვედელიძის მაგალითზე.

კირვალიძე იყო ჩვენი ფავორიტი მინისტრი, ამერიკის ელჩი ლობირებდა. არ დავიჭირე. შეკითხვები იყო კირვალიძის მიმართ, თუმცა დანაშაული არ დამტკიცდა. ის კულტურულად მოიქცა. ასეთი უნდა იყოს დამოკიდებულება. თუ მოდიხარ სამართავად, ფავორიტი და მეგობრები არ არის საჭირო. კარგია,მაგრამ მეგობრები უნდა იყოს არა გუნდი, არამედ მთელი საქართველო“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ექსპრემიერი რესპუბლიკელებსაც შეეხო.

„ერთადერთი პარტიას საზოგადოება უჩემოდაც აფასებს.იგი ძველი პარტიაა და გამოირჩევიან თანმიმდევრობით და იცავენ ელემენტარულ წესებს, რაც აუცილებელია პარტიისათვის, თუმცა ერთი პროცენტიც არ აქვთ რეიტინგი, რაც გამოკითხვებისას ვნახეთ. რესპუბლიკური პარტიისთვის სახელმწიფო იწყება იქ, სადაც იწყება პარტია და სრულდება იქ, სადაც მთავრდება „რესპუბლიკური პარტია.“

რაც ვთქვი „თავისუფალ დემოკრატებზე“, ისეთ მწვავე ფორმებში არაა ეს პარტია, ,სამეგობროდ ჩამოყალიბებული. თუმცა, სახელმწიფოზე ასეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ილია ჭავჭავაძე არც თუ კარგი კაცია და ვიღაც დამპყრობელი, არც თუ ისე ცუდი კაცია. ასეთი გამონათქვამები ხშირად გვესმის მათგან, განათლებულობით დამძიმებული თავებით ხშირად ასეთ შეფასებებს აკეთებენ და საზოგადოებაც ადეკვატურად პასუხობს. საერთო ჯამში, მათ არ აქვთ რესურსი, საერთო-სახალხო საქმეზე და სახელმწიფოზე იფიქრონ. მათი პლუსი ჩვენთან პარტნიორობის დროს იყო, რომ ასაკიანი და თანმივდერული პარტიაა, მაგრამ დანარჩენი გვარწმუნებენ, თითქოს ხალხზე და სახელმწიფოზე ზრუნვას ცდილობენ, მაგრამ მაგალითებით ვერ მტკიცდება -ასე დაახასიათა რესპუბლიკელები ივანიშვილმა.

მან „პატრიოტთა ალიანსიც“ დაახასიათა.

–„პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმა ვერ გავიგე. დავაკვირდები და მოგვიანებით გავაკეთებთ ღრმა დახასიათებას. ტრადიციები, ქართული კულტურა ყველს გვიყვარს, თუმცა, გადაჭარბებული არაფერი არ ვარგა. ყველაფერს თავისი ფასი უნდა დავადოთ. მათ მეტად უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი პლატფორმა. ერთადერთი პოზიტივი, რაც მას სხვა პარტიებისგან განასხვავებს, ისაა, რომ რომ ისინი ცდილობენ „ნაციონალური მოძრაობის“ სწორად წარმოჩენას. დანარჩენები ძირითადად ხელისუფლებას ებრძვიან.

პოლიტიკური ისტებლიშმენტიც ისეთივე ღარიბია, როგორც ჩვენი ეკონომიკა დღეს. მაგრამ დრო უნდა ყველაფერს, უნდა დაკვირვება, სელექცია, კარგი გამოყვანა და ა.შ. - აღნისნა ბიზნესმენმა.

ჟურნალისტების შემდეგ კითხვა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის თავმჯდომარე მინდია სალუქვაძემ დასვა, რაზედაც ივანიშვილმა შემდეგი პასუხი გასცა:

–„ქართული ოცნების წევრები“ ხალხზე ზრუნვაში არიან და ხალხზე ზრუნვაში ათენებენ და აღამებენ - აი, კვირიკაშვილი ასეთი კაცია. აი, სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, რომ აისბერგებსაც ავცდეთ, ეკონომიკაც განვავითაროთ, ევროპაშიც შევიდეთ და **NATO**-ს წევრიც გავხდეთ. აი ამას სჭირდება სწორი ხელისუფლება. აი, ამისთვის ვიღწვი, რომ ჩემთან შეხვედრაში დავარწმუნო მოსახლეობა, რომ ალტერნატივა „ქართულ ოცნებას“ არ ჰყავს. ნუ მიედ-მოედებიან. სირცხვილია, რომ 250 ათასი - 300 ათასი კაცი ისევ ნაციონალურ მოძრაობას ელოდება. რა უნდათ, ისევ ძალადობა უნდათ? ისევ ცოცხებს ელოდებიან? რა არის ეს, რა ხდება!

გადაცემის შემდეგ ივანიშვილი დარბაზში მყოფ საზოგადოების წარმომადგენლებს ესაუბრა.

# ბიძინა ივანიშვილი სატელევიზიო გადაცემის შემდეგ დარბაზში მყოფ რეგიონის საზოგადოების წარმომადგენლებს ახალ პროექტებზე ესაუბრა

**ალიონი.** 5 სექტემბერს, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში რეგიონულ მედიასთან შეხვედრის შემდეგ ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი დარბაზში მყოფ რეგიონის საზოგადოების წარმომადგენლებს ახალ პროექტებზე ესაუბრა.

დარბაზში მყოფებისგან კითხვებით აქტიურობდნენ ალეკო ტუღუში, ვასილ ჩიგოგიძე, ლევან ნინიძე, ვასიკო ვაშალომიძე და კიდევ რამდენიმე პირი.

–ოზურგეთის თეატრი გამორჩენია და ძალიან ვწუხვარ, როგორ დამემართა, ხვალიდან დავიწყებ რეაბილიტაციას –განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა დარბაზიდან კითხვის დასმამდე. შემდეგ მან თეატრის დირექტორ ვასილ ჩიგოგიძესთან თავისი მოსაზრება დააფიქსირა „**BLACK SEA Arena**“–სა თეატრის სამომავლო ურთიერთობებზე.

ბიძინა ივანიშვილმა შეკვეთილში ახალი ქალაქის აშენების შესახებ დასმულ კითხვასაც უპასუხა და აღნიშნა, რომ შეკვეთილში ახალი სასტუმრო შენდება, რაც ჩვენ ქვეყანაში ტურისტების ნაკადს უფრო სტაბილურს გახდის მალე შეკვეთილში კიდევ ერთი ახალი სასტუმროს მშენებლობა დაიწყება.

–საქართველოში მომავალშიც ის უცხოელი ტურისტები ჩამოვლენ,რომლებიც აქაურ ბუნებზე და ქართულ ტრადიციებზე არიან შეყვარებული –აღნიშნა მან.

ბიზნესმენმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორა-ბერეჟოულში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის აღდგენასთან დაკავშირებით დასმულ კითხვასაც უპასუხა და თქვა,რომ იგი უნდა აღდგეს.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა!

## „ქართული ოცნების“ ძირითადი მიღწევები:

6. 2013 წლიდან სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 62%-ით გაიზარდა;
7. 2012 წელთან შედარებით 65%-ით გაიზარდა ასაკობრივი პენსია, 80% -ით კი - მკვეთრად გამოხატული შშმ პირების პენსია. მთაში პენსია გაიზარდა დამატებით 20%-ით;
8. მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი გაორმაგდა უმწეოთა დახმარება;
9. დევნილების პრობლემების მოგვარებისთვის განკუთვნილი დაფინანსება გასამმაგდა. 2013-2016 წლებში საცხოვრებელი ბინა 6 000-ზე მეტმა დევნილმა ოჯახმა მიიღო. უკვე დაწყებულია პროექტები, რომლებიც ახალი საცხოვრებლით დამატებით 5 000-ზე მეტ დევნილ ოჯახს უზრუნველყოფს;
10. 2012 წელთან შედარებით, განათლების სფეროს ბიუჯეტი 56%-ით გაიზარდა;
11. მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 65%-ით, საშუალო ხელფასი კი 70%-ით გაიზარდა;
12. ამოქმედდა „უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა“, რომლითაც 500 ათასი მოსწავლე სარგებლობს;
13. ახალი პროგრამის ფარგლებში, 1 200-მდე სკოლას უფასო ტრანსპორტი ემსახურება;
14. 2013-2016 წლებში 1 500-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა, 1 700-მდე სკოლაში კი ინვენტარი განახლდა; დასრულდა 10, მიმდინარეობს 10 და იწყება 7 ახალი სკოლის მშენებლობა;
15. 41%-ით გაიზარდა უმაღლესი განათლების, ხოლო 83%-ით - პროფესიული განათლების დაფინანსება;
16. უნივერსიტეტებში დაიწყო პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება. მთელი რიგი ფაკულტეტებისა სრულიად უფასო გახდა, რითაც უკვე ისარგებლა 10 000-მდე სტუდენტმა. საერთო ჯამში, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სტუდენტთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი;
17. 2012 წლის შემდეგ მეცნიერების დაფინანსება 82%-ით გაიზარდა;
18. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველი მოქალაქეებისთვის 270- მდე სახელმწიფო სტიპენდია გაიცა;
19. საბავშვო ბაღები სრულიად უფასო გახდა. შედეგად, სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა.

## საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება




„ქართული ოცნების“ წარმატებული საგარეო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის ტემპები და მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური რისკები:

1. წარმატებით დასრულდა ევროკავშირთან მოლაპარაკებები და ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას;
2. ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება;
3. წელს ამოქმედდება ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, რითაც საქართველოს ყველა მოქალაქე ისარგებლებს;
4. ხელი მოეწერა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, რითაც საქართველოსთვის ახალი ბაზარი გაიხსნა - 28 ქვეყნითა და 500 მილიონი მომხმარებლით;
5. ღრმავდება თანამშრომლობა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან - ამერიკის შეერთებულ შტატებთან;
6. საქართველო განაგრძობს თანმიმდევრულ სვლას ნატო-ს წევრობისკენ;
7. წინა ხელისუფლების ავანტიურისტული პოლიტიკისგან განსხვავებით, რამაც ქვეყანას უმძიმესი შედეგები მოუტანა, ჩვენი ხელისუფლება პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. ამასთან, საქართველო წარმატებით უზრუნველყოფს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გატარებას;
8. ღრმავდება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები რეგიონის ყველა ქვეყანასთან;
9. ღრმავდება ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან. გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები „აბრეშუმის გზის“ პროექტის განხორციელების მიმართულებით, რაც საქართველოს უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას შესძენს.

## ეკონომიკური განვითარება

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით „ქართულ ოცნებას“ ძალზე მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. თუმცა, ამ გარემოებისა და რეგიონში არსებული ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა უზრუნველყო. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, საქართველო, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, რეგიონის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 2014 წელს საქართველოში, ევროპის მასშტაბით, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ხელისუფლების ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, „მსოფლიო ბანკის“ პროგნოზის შესაბამისად, 2017-2018 წლებში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში საქართველოს ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება (უზბეკეთის, თურქმენეთის და ტაჯიკეთის გარდა). ქვეყანამ წინსვლა განიცადა ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მიმართულებით:

1. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, საქართველო „საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების“ რიგს შეუერთდა;
2. 2013-2015 წლებში, 2008-2012 წლებთან შედარებით, საქართველოში წელიწადში საშუალოდ 33%-ით მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა;
3. 2004 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 1,9 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2012 წელს კი ეს მაჩვენებელი 4,8 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. 2015 წლის მდგომარეობით, მთლიანი საგარეო ვალი 200 მილიონი დოლარით არის შემცირებული;
4. საშემოსავლო გადასახადის გადახდის მაჩვენებლების მიხედვით, 2012-2016 წლებში, ადამიანების შემოსავლები 29%-ით გაიზარდა და ეს იმ პირობებში, როდესაც ინფლაცია 10%-ს არ აღემატებოდა;
5. „ქართული ოცნება“ მოსახლეობის დასაქმებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებდა. შედეგად, 2013 წლიდან, დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში 56 ათასით გაიზარდა. 2012 წლის შემდეგ, უმუშევრობის დონე 12%-მდე შემცირდა, მაშინ როცა, წინა ხელისუფლების პირობებში, უმუშევრობა გაიზარდა;
6. „ქართულმა ოცნებამ“ აქცენტი წარმოების განვითარებაზე გააკეთა. მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა. პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 400 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია გაიცა და მხარი დაეჭირა 187 საწარმოს;
7. 2013-2015 წლებში ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობამ 16,8 მილიონი შეადგინა, რაც 2005-2012 წლების რვაწლიან მაჩვენებელს (14,4 მილიონი) აღემატება;
8. 2013-2016 წლებში ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემას ჯამში დაემატა 415 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურები, მაშინ როცა, 2007-2012 წლებში, განხორციელებული პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე მხოლოდ 8 მეგავატი იყო. 2016 წლის ბოლომდე დამატებით 423 მეგავატი ჯამური დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობა დასრულდება.

## პრიორიტეტად იქცა სოფლის მეურნეობის განვითარება:





1. სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა;
2. შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა 26 474-მა ბენეფიციარმა, გაიცა 700 მილიონი ლარის და 208 მილიონი დოლარის სესხები;
3. ამოქმედდა მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც 700 ათასზე მეტმა მცირემიწიანმა ფერმერმა 351 მილიონი ლარის დახმარება მიიღო. შედეგად, ყოველწლიურად 200 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მუშავდება;
4. ფერმერებს 280 მილიონ ლარამდე ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მცენარეთა მოვლის საშუალებები უსასყიდლოდ გადაეცათ;
5. 2013-2016 წლებში 150 ახალი აგრარული საწარმოს შექმნა 115 მილიონი დოლარით დაფინანსდა, 700 საწარმო კი გაფართოვდა და გადაიარაღდა;
6. ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა: 2016 წლის მაისის მდგომარეობით, აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, გაცემულია 11 986 პოლისი, დაიზღვა 77 მილიონი ლარის ღირებულების მოსავალი და 13 181 ჰა მიწის ფართობი. დამონტაჟდა სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები, რის შედეგადაც კახეთში მოსავალი 30%-ით გაიზარდა;
7. წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 45 000 ჰექტრიდან 106 000 ჰექტრამდე, ხოლო დაშრობილისა - 14 000 ჰექტრიდან 31 575 ჰექტრამდე გაიზარდა;
8. პროგრამის - „დანერგე მომავალი“ ფარგლებში 1 400 ჰექტარი ინტენსიური ტიპის მრავალწლიანი ხეხილის ბაღები გაშენდა; სახელმწიფოს დახმარებითა და შეღავათების დაწესებით 1 500-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა;
9. გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში.

## მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები





1. 2013-2016 წლებში, 2007-2012 წლებთან შედარებით, წელიწადში საშუალოდ ორჯერ მეტი გზა იგებოდა; 2006-2012 წლებში ავტობანზე წელიწადში საშუალოდ 10,1 კმ, 2013-2015 წლებში კი - 28,4 კმ გზა დაიგო;
2. 2013 წლიდან მოსახლეობისთვის წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა. უკვე დაწყებულია დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარის ღირებულების პროექტები, რომელთა დასრულების შემდეგაც, 2020 წლისთვის, 24-საათიანი ხარისხიანი წყალმომარაგებით დამატებით 500 ათასამდე ადამიანი იქნება უზრუნველყოფილი;
3. საგრძნობად გაიზარდა გაზიფიცირების სამუშაოების მოცულობა: 2013-2016 წლებში, საქართველოს მაშტაბით, გაზმომარაგების ქსელში დამატებით 138 ათასამდე პოტენციური აბონენტი ჩაერთო;
4. 2012-2015 წლებში ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში 29 სოფელი ჩაერთო, რომელთაც ელექტროენერგია მანამდე არასოდეს მიეწოდებოდათ. უშუქო სოფლების ქსელში ჩართვის პროცესი გრძელდება;
5. დაიწყო ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტი, რომელიც რეგიონებში მაღალსიჩქარიან ინტერნეტკავშირს უზრუნველყოფს.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# ნინო ბურჯანაძე: – „ოცნებამ“ არ ივარგა და ისევ „ნაციონალებს“ მივცემთ ხმასო. ვინც მაგას იტყვის, იმაზე მეტის ღირსი ვყოფილვართ, რაც გაგვიკეთეს



**ალიონი.** 9 სექტემბერს დაბა ჩოხატაურში ნინო ბურჯანაძის ჩასვლა და ელექტროენერგიის გამორთვა საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს. თუ შეგნებულად გამორთეს, ძალიან ცუდი, წინა ხელისუფლების მეთოდი გადმოულია ამჟამინდელს, თუ შემთხვევით მოხდა და ვერ აღადგინეს, ბოდიში მაინც უნდა მოეხადათ სტუმრისა და შეკრებილი საზოგადოებისათვის.

ბლოკი ,,ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობის‘‘ ლიდერი ჩოხატაურელებს საქართველოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ამავე ბლოკიდან ოზურგეთის საარჩევნო ოლქში ავთანდილ (ზურაბ) ჩხაიძემ წარუდგინა.

ჩოხატაურული, ანუ ორიგინალური აღმოჩნდა შეხვედრის ექსპოზიცია: ერთმა კაცმა ქალბატონ ნინოს ხელფასების გაცვლა შესთავაზა.

— თუ ამირჩევთ, მერე ვილაპარაკოთ, ამ წუთში ხელფასი არ მაქვს,— იუმორით უპასუხა ქალბატონმა ნინომ, შემდეგ კი დასძინა: — სრულიად გასაგებია ამ გურული კაცის გულისტკივილი, მაგრამ მართლა ტყუილი იქნება, რომ დავპირდე ჩემს ხელფასს მოგცემ-თქო, ამიტომ ვერ დავპირდები და ზოგადად ვერავის დავპირდები იმას, რაც არის ტყუილი და რაც არ შესრულდება‘‘.

ბურჯანაძის ინფორმაციით, ამომრჩეველთა 57 პროცენტს დღეისათვის არა აქვს გადაწყვეტილი, რომელ პარტიასა და რომელ კანდიდატს მისცეს ხმა და ასეთ ამომრჩევლებთან შეხვედრები აუცილებელია:

,,არავის მჯერა და არავის მივცემ ხმასო, ამბობენ ისინი. ასეთ ადამიანებს უნდა ავუხსნათ, რომ მათ ხმას ვიღაცა აუცილებლად გამოიყენებს და შეიძლება გამოიყენოს ზუსტად იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც ყველაზე მეტად არ მოსწონთ. მე, რა თქმა უნდა, გამიხარდება თუ თქვენს ახლობლებს დააწმუნებთ, რომ მესამე ნომერი შემოხაზონ, როგორც მაჟორიტარი, ასევე პარტიული ბლოკი ,,ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობა‘‘, მაგრამ თუ აღმოჩნდებიან ადამიანები თქვენს ირგვლივ, რომლებსაც ამაში ვერ დაარწმუნებთ, თხოვეთ, სახლში ნუ დარჩებიან, მივიდნენ არჩევნებზე და უკიდურეს შემთხვევაში, ბოლო-ბოლო გადახაზონ ყველა ბიულეტენი. ვისაც არც მე მოვწონვარ, არც არავინ მოსწონს, ის მაინც ეცოდინება ვერც ,,ნაციონალური მოძრაობა‘‘ და ვერც ,,ოცნება‘‘ ვერ აიღებს მის ხმას‘‘.

,,ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობის‘‘ ლიდერმა ვრცლად ისაუბრა მის ინიციატივაზე უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით და მავნებლობად შეაფასა დავით უსუფაშვილის გამოსვლა საქართველოში ამერიკული ჯარის შემოყვანის თაობაზე:

,,თქვენ ხომ იცით, რომ ნახევარი საქართველოს ახალგაზრდებისა საზღვარგარეთ არის წასული, რაც აფერხებს ქვეყნის განვითარებას, ანგრევს დემოგრაფიულ მდგომარეობას, თუ ქმარი ან ცოლი თურქეთში არის წასული, ის ოჯახი ველარც მრავლდება და ველარც ვითარდება. არადა, უკიდურეს მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი. ამიტომ არის, რომ მე ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ რუსეთის ბაზრის გახსნას საქართველოსთვის. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. და მე მინდა გთხოვოთ ყველას, მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინიციატივას უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით, ახლა ზურა და მისი მეგობრები რომ დაიწყებენ თქვენთან ამ ხელმოწერაზე სიარულს. ჯერ ერთი, არ გვჭირდება სხვა ქვეყნის ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე, ძლივს რაღაცა გავთავისუფლდით და ახლა, გუშინწინ უსუფაშვილი გამოვიდა, ამერიკული ჯარი უნდა შემოვიდესო, ანუ ნახევარ საქართველოში უნდა იდგეს რუსული ჯარი და მეორე ნახევარში — ამერიკული ჯარი? გეკითხებით, ეს არ არის მავნებლობა? ისინი რომ ერთმანეთს დაეტაკონ, რა დარჩება საქართველოდან მაშინ? როგორ შეიძლება ამის გაკეთება. კარგი იქნებოდა, რომ რუსული ჯარი არ იდგეს, მაგრამ სააკაშვილის უტვინობამ გააკეთა ის, რომ რუსული ჯარი შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე‘‘.

— სააკაშვილი ცუდი არ იყო, — ყოფილი პრეზიდენტის აუგად მოხსენიება ვერ აიტანა ერთმა შავქოლგიანმა ქალბატონმა.

— პატივს ვცემ თითოეული თქვენგანის აზრს, მზად ვარ ბოლომდე მოგისმინოთ, მაგრამ სააკაშვილი ცუდი კი არა, ძალიან ცუდი იყო, ქალბატონო, — უპასუხა ქალბატონმა ნინომ.

ბურჯანაძემ თავისი მოსაზრება დააფიქსირა ქართულ ბანკებსა და ამ ბანკებთან ვალში მყოფ მოსახლეობაზე:

,,ეს ვალი სახელმწიფომ უნდა აიღოს სახელმწიფო ვალში. ეს არის დაახლოებით 4 მილიარდი ამერიკული დოლარი. რასაკვირველია, ამის დაფარვას სახელმწიფო ერთბაშად ვერ შეძლებს, მაგრამ მე მქონდა ასეთი გეგმა და ზურამ იცის ამის შესახებ, ჩამოვაყალიბოთ პრიორიტეტები. სახელმწიფომ, პირველ რიგში, ეს ვალი უნდა გაუსტუმროს ასაკოვან, სოციალურად დაუცველ და შშმ ადამიანებს, შედარებით ახალგაზრდები კი დაელოდებიან თავიანთ რიგს.

მეორე პრობლემაცაა აქ. ნახევარი საქართველო ბანკების მოვალეა, ნახევარ საქართველოს იპოთეკაში ან სახლი აქვს ჩადებული, ან ქონება, ან კიდევ მიწა. ამის მოვლაც შეიძლება, უნდა დაწესდეს გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი კრედიტი.

არ მოგატყუებთ და არ გეტყვით იმას, არიქა, მოვალ და გადაგიხდით ბანკების პროცენტს-მეთქი, როგორც ეს ბიძინამ თქვა ოთხი წლის წინ. არ არის ეს სწორი დაპირება იმიტომ, რომ ვერავინ გადაიხდის ამ ვალს. ამავე დროს, რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს თავმოყვარობა — რაც არ უნდა უჭირდეს, ვალს რომ აიღებს, ის ვალი უნდა გაისტუმროს, მაგრამ როცა ვალი აიღე დოლარში, როცა დოლარი იყო 1,75 ლარი და მერე სახელწიფოს უჭკუობის გამო და სხვათა შორის, სააკაშვილისა და მისი გუნდის მავნებლობის გამო, ეს ლარი 2,2 –2,6 და შენ დოლარში აღებული ვალი გაგიორმაგდა დ გაგიათმაგდა, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ თავისი ნაბიჯები უნდა გადადგას და გააკეთოს ის, რომ მოგცეს გრძელვადიანი კრედიტი, საერთოდ, სახელმწიფომ უნდა აკრძალოს დოლარში ვალის აღება. ეს არის წარმოუდგენელი, რომ ნორმალური სახელმწიფო თავის ვალუტაში კი არ გასცემდეს კრედიტს, არამედ დოლარში, დააქცია ნახევარი საქართველო დოლარში ვალის აღებამ. ეს ყველაფერი სპეციალურად ხდებოდა და ხდება, რა თქმა უნდა. ასმაგი მოგება აქვთ ქართულ ბანკებს, ამერიკულ და ესპანურ ბანკებს არა აქვთ ამდენი.

იგივეა წამლებთან დაკავშირებით. მე ვიცი, რომ მედიკამენტებზე, ბენზინზე, თხილზე მონოპოლიაა, როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ ფასებს. ესეც მოსავლელია და რასაც მე გეუბნებით, არ არის გადაუწყვეტელი პრობლემა.

და ერთიც, მე ვთქვი, რომ უბლოკო სტატუსი არის საქართველოს ეკონომიკის ჟანგბადი. როგორც კი რუსეთთან ურთიერთობა დალაგდება, გარწმუნებთ, რომ ინვესტიციებიც დაიწყებს შემოსვლას, ის ქართული პროდუქციაც მარტივად გავა რუსულ ბაზარზე და შეიცვლება საქართველოს ეკონომიკა‘‘.

შეხვედრის ბოლოს ნინო ბურჯანაძე ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის‘‘, ,,ქართული ოცნებისა‘‘ და ამომრჩევლის თემებს შეეხო:

,,წელან ჟურნალისმა მკითხა, ხალხი ამბობს ,,ოცნებამ‘‘ არ ივარგა და ისევ ,,ნაციონალებს‘‘ მივცემ ხმასო. არ მიწყინოთ, მაპატიეთ ამას რომ ვიტყვი, მაგრამ ვინც მაგას იტყვის ,იმაზე მეტის ღირსი ვყოფილვართ, რაც გაგვიკეთეს.

გეთანხმებით, ,,ოცნებამ‘‘ არ ივარგა, მაგრამ ერთი რამ არის: ნაციონალური მოძრაობის‘‘ დროს ასე ვერ მოხვიდოდით და ვერ შევხვდებოდით. დაგიჭერდნენ, ახალგაზრდა ბიჭებს ნარკოტიკებს ან იარაღს ჩაუდებდნენ, ათას უბედურებას აკიდებდნენ, ნამდვილად არ უნდა მისცეთ ხმა ,,ოცნებას‘‘, რომ ძალიან ბევრი დაპირება ვერ შეასრულა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რომ ის შიში, ტერორი და უბედურება აღარ არის,

როგორ შეიძლება ქართველმა კაცმა ,,ნაციონალურ მოძრაობას‘‘ მისცეს ხმა, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ უამრავი კაცი გააუპატიურეს ციხეში, კარგით, რა, მართლა. ქალების გაუპატიურებაზე აღარაფერს ვამბობ, აღარ ვთვლი ისეთ უბედურებად, როგორადაც კაცის გაუპატიურებას, მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება?! ასე როგორ შეიძლება დაეცეს ერი, რომ პრეზიდენტი, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა, გამოდის დღეს და დავბრუნდებიო, გეუბნება. ,,ოცნების‘‘ ბრალია, რომ მაგი ამას ბედავს. 114 სოფელი დაკარგა კაცმა. რუსებისთვის ყველაზე კარგი ხელისუფლება მაგინი აღმოჩნდნენ.

პირდაპირ გეტყვით, ზოგადი წესია, პოლიტიკოსმა ამომრჩეველი არ უნდა გააკრიტიკოს, პოლიტიკოსს არა აქვს მაგის უფლება, იმდენი გაჭირვება აქვს ხალხს, მაგრამ დავარღვევ ამ წესს და ვინც დღეს ,,ნაციონალურ მოძრაობას‘‘ მისცემს ხმას, კრიტიკის კი არა, მეტის ღირსია. არ ვიცი, დასაცავი იქნება თუ არა ,,ნაციონალებისთვის‘‘ ხმის მიმცემი ის ადამიანი, ვისაც ხვალ ცოცხებით მიადგებიან.

2008 წლამდე არა უშავდათ, შემდეგ აღარც ,,ტორმუზი‘‘ ჰქონდათ და აღარაფერი ჰქონდათ, სულ გადაიმხეს ეს ქვეყანა თავზე... ნახევარ გადაწყვეტილებებს ჰაერში ვიჭერდი და ვაჩერებდი, რაც ვერ გავაჩერე, წამოვედი და ორ თვეში ომი დაიწყეს‘‘...

შეხვედრის ბოლოს ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ უპასუხა მოსახლეობის შეკითხვებს, რომელთა უმეტესობა სოციალურ და განათლების თემებს მოიცავდა.

## ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალები“ გააცურა



5 ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში რეგიონის ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა ,,ნაციონალები‘‘ გააცურა.

მას შემდეგ, რაც თეატრის თანამშრომელთათვის დანიშნული კარების მხრიდან რამდენიმე მანქანა თეატრალურ მოედანზე გამოვიდა და ტერიტორია დატოვა, ყველამ, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორმაც, იფიქრა, რომ ბიძინა ივანიშვილი აქვე მომიტინგე 100-მდე ,,ნაციონალს‘‘ ,,აეთესა‘‘. მაგრამ ნურას უკაცრავად (როგორც ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი იტყოდა), ბიძინა ივანიშვილი თურმე არსად გაპარულა და ამ მანევრით მან ერთ-ერთ მედიასაშუალებას თავის ვებგვერდზე ტყუილი დააწერინა — ,,ქვეყნის ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ოზურგეთის თეატრში ადგილობრივ ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ თეატრი საიდუმლო გასასვლელითთ დატოვა‘‘, ხოლო ,,ნაციონალური მოძრაობის‘‘ დეპუტატობის კანდიდატს დავით მჟავანაძეს სიტყვა გაუცუდა: ,,ლოგიკურია, რომ ივანიშვილი გაიპარა, ამდენი ტყუილების შემდეგ მას ხალხთან შეხვედრის უფლება არ ჰქონდაო‘‘.

10-15 წუთის შემდეგ ივანიშვილი ხალხშიც გამოვიდა და ,,ნაციონალებსაც‘‘ შეხვდა. მხარეების არც თუ ისე დიდი ხნის კამათი ,,ორთქლის გამოშვებით‘‘ დამთავრდა.

## საკრებულოს მორიგ სხდომაზე



**ალიონი.** 7 სექტემბერს გამართული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე სამი საკითხი განიხილეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრაციო ტერიტორიაზე სოფელ ნატანებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ,‘‘ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე იმსჯელეს.

როგორც საკადასტრო ერთეულების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტში ვკითხულობთ შპს ,,მაგრიკა‘‘(დირექტორი თამარ მახარაძე) მრავალფუნქციურ სასტუმროს, დასასვენებელი კომპლექსის აგებას აპირებს, რომლის ფართი 103 969 კვადრატული მეტრს შეადგენს.

—ვალდებულებს კი იღებს, მაგრამ გარანტიას თუ იძლევა-დასვა კითხვა სხდომაზე დეპუტატმა ხვიჩა წულაძემ.

—დაწყებული არქეოლოგიური კვლევებიდან, ეკოლოგიური საკითხებიდან ყველა მოთხოვნა დევს პროექტში —უპასუხა მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა თამაზ ლომჯარიამ.

—საკრებულო ყოველთვის დაუწერს მხარს ინვესტორებს. იქ აუცილებლად უნდა შეანრჩუნდეს ტყე-პარკი. დაავადებული ხეები მოიჭრას დატერიტორიაზე გათვალისწინებულია მრავალწლიანი ნარგაობის გაშენება. -აღნიშნა თამაზ ლომჯარიამ.

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს.

მეორე საკითხად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცებისას კვლავ დეპუტატმა ხვიჩა წულაძემ დასვა კითხვა თუ რატომ არ ჩააყენეს იგი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი საქმის კურსში და რომელი ფართობის პრივატიზებას გეგმავდნენ სოფელ შემოქმედის ცენტრში. საკითხის გასარკვევად, მან სტხოვა საკრებულოს ამოეღოთ საპრივატიზაციო სიიდან აღნიშნული ფართობი.

ამ თემას სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარი დეპუტატი დავით მჟავანაძეც გამოეხმაურა.

—ჭანიეთში ქარსაფარი ზოლი რომ გასცეს, ეს არ იცოდასაკრებულოს აგრარულ საკითხთა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომისიამ?

წულაძის წინადადებას ჯერ საკრებულოს თავმჯდომარემ, შემდეგ კი საკრებულომ დაუჭირა მხარი.

დაიწყო საჯარო-ადმინისტრაციული წარმოება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ‘‘—ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

# წინასაარჩევნო მარათონი და ოზურგეთელთა არჩევანი

**გიორგი ასათიანი**

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში 9 სექტემბრისთვის პარლამენტის მაჟორიტარობის რეგისტრირებულიკანდიდატები გახლავთ: ავთანდილ ჩხაიძე (საარჩევნო ბლოკი-ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობა), შოთა გოგიბერიძე (დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია).გოჩა ძიმისტარიშვილი (საინიციატივო ჯგუფი)

მაჟორიტარობის დანარჩენიკანდიდატები ცენტრალურ საარჩევნო კომისიში დარეგისტრიტდნენ: ზაზა მამულაშვილი (პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის),დავით მჟავანაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ნინო გოგუაძე (რესპუბლიკური პარტია), დავით მამალაძე (საქართველოს ლეიბორისტული პარტია), თემურ სალუქვაძე (თავისუფალი დემოკრატები) არჩილ თალაკვაძე (ქართული ოცნება).

რესპონდენტებმა გაზეთ „ალიონის'' შემდეგ კითხვებს უპასუხეს:

**თქვენი პოლიტიკური გუნდის პრიორიტეტული პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გურიის განვითარებას.**

**რატომ უნდა დაგიჭირონ მხარი თქვენ და არა სხვას, რით განსხვავდება თქვენი ხედვა სხვა კანდიდატებისგან?**

**როგორია თქვენი პოლიტიკური პროგნოზი, თქვენ მოპოვებული ინფორმაციით რამდენ პროცენტს მოიპოვებთ?**

დეპუტათა ხედვები რიგ შემთხვევებში ერთმანეთს ემთხვევა მაჟორიტარობის კანდიდატებისთვის პრიორიტეული აღმოჩნდა სოციალური პრობლემების გადაჭრა, სოფლის მეურნეობის განვითარება და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა. თუმცა დაფიქსირდა განსხვავებული ხედვებიც ქვეყნის კურსთან დაკავშირებით.

რესპოდენტებმა გვიპასუხეს.

## ზაზა მამულაიშვილი



პირველ რიგში ჩვენი პარტიისთვის პრიორიტეტულია სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ადამიანები არ დაკარგავენ დახმარებას, რაიმე ღირებული საჩუქრის მიღების შემთხვევაში.

ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება, მოძიებული გვაქვს დარგები, რომლებიც ისტორიულადაც არსებობდა გურიაში.

ჩვენ შეგვიძლია მრავალფეროვნად განვავითაროთ გურიაში ტურიზმი ზღვის და მთის ფონზე.

ყველას ჰქონდა შანსი გაეუმჯობესებინა ხალხის მდგომარეობა დაწყებული ნაციონალური მოძრაობიდან, დამთავრებული ქართული ოცნებით. ნაციონალურ მოძრაობას ედავებოდნენ წართმეული ქონებების გამო. ქართულმა ოცნებამ კი ვერ შეასრულა ის დაპირებები, მათ ვერ დააბრუნეს წართმეული ქონებები. ეს არ უნდა იყოს ხანგრძლივი პროცესი, რადგან 20-30 წელი არავინ არ დაელოდება ამ პროცესის მოგვარებას. ამისთვის საჭიროა ახალი ძალის მოსვლა.

ჩვენ ვიბრძოლებთ მაქსიმალურად. ეს არის ჩვენი პოლიტიკური პროგნოზი.

## ავთანდილ ჩხაიძე



არამარტო გურიის, არამედ მთელი საქართველოს განვითარებას შეუწყობს ხელს ჩვენი საარჩევნო პროგრამა, პირველ რიგში პრიორიტეტულია საქართველო სამხედრო ბლოკის გარეშე. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის, დასავლეთის ქვეყნების, ნატოს ჯარების გაყვანა, რომელიც საშუალებას მოგვცემს კეთილმეზობლური ურთიერთობა დავამყაროთ. აღვადგინოთ ურთიერთობა რუსეთთან. ეს ხელს შეუწყობს ბაზრების გახსნას და პროდუქციის ექსპორტს, ასევე დასაქმებას, შემოსავლების ზრდას და საფუძველს ჩაუყრის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ჩემი წარსული ცხოვრებით დავამტკიცე, რომ საქმის კეთება შემიძლია კარგად, რაც არამარტო ოზურგეთლებმა იციან, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ამიტომ მე ვფიქრობ რომ ადამიანები უნდა ენდობოდნენ მას, ვისაც საქმით აქვს დადასტურებული, რომ შეუძლია ღირსეულად აკეთოს საქმე.

ზუსტად ვერ ვიტყვი მიღებულ ხმათა რაოდენობას, მაგრამ მოვიპოვებ იმდენს, რამდენიც საჭიროა გამარჯვებისთვის.

## დავით მჟავანაძე



მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან'', ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის წევრი. მიუხედავად ჩვენი მცდელობა ინტერვიუ არ შედგა

## ნინო გოგუაძე



ჩვენი პარტიის პრიორიტეტი არის თვითმმართველობის რეფორმის დასრულება. ჩვენგან ძალიან დიდი წვლილია ჩადებული რეალური თვითმმართველობის მიღებაში, მაგრამ პროცესი დას-ასრულებელია. ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ რეალურ ბიუჯეტზე. ეს არის ძლიერი სახელმწიფოს გარანტი.

ჩენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს დასავლური კურსი, იმ პერიოდში, როცა გვიტევს რუსული რბილი ძალა, აუცილებელია არჩევანი გავაკეთოთ იმ პოლიტიკურ ძალებზე, რომლებიც დასავლურ გზას ირჩევს და ქვეყნის იმ რელსებზე დაბრუნებას შეუწყობს ხელს, რომელიც ისტორიულად იყო. ამას გარდა მე ვარ გარანტი, რომ ის რაც რესპუბლიკური პარტიის პრიორიტეტია, სახელმწიფო არის ადამიანისთვის და არა ადამიანი სახელმწიფოსთვის, ნინო გოგუაძე გაატარებს ამ კურსს. ადამიანის უფლებები იქნება წინა პლანზე.

რამდენ პროცენტს მოვიპოვებთ ვერ გეტყვით, თუმცა დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ქართველი ამომრჩეველი ნამდვილად მიუჩენს რესპუბლიკურ პარტიას იმ ადგილს, რაც მას ეკუთვნის, რადგან ჩვენს პარტიას 38 წლიანი გამოცდილება გააჩნია

## შოთა გოგიბერიძე



საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ძალიან ძლიერი პროგრამით შემოვიდა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. ჩვენ გაზეთში არის აღწერილი ჩვენი პრიორიტეტული პროექტები, რომელიც რეგიონის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ეს გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, მცირე, მიკრო და საშუალო ბიზნესის დაფინანსება სახელმწიფო ფონდიდან, რომელიც მოიცავს 3-4% ძირითადი ბიუჯეტიდან, ამ ფონდით წელიწადში მინიმუმ რვა ათასი ბიზნესი დაფინანსდება. ეს შექმნის საშუალო ფენას ჩვენ აქტიურად უნდა წარვადგინოთ ჩვენი რეგიონის პროექტები, მაქსიმალურად გავუწიოთ მათ ლობირება. გარდა ამისა ჩვენთვის პრიორიტეტულია უსახლკაროთა დახმარება. უნდა შეიქმნას სახემწიფო საბინაო ფონდი. ასევე ვგეგმავთ საპენსიო ასაკის შემცირებას, მამაკაცებისთვის 60,ხოლო ქალბატონებისთვის 55 წლამდე სამუშაოს უფლების შენარჩუნებით. ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დარგების დივერსიფიცირება, შესაბამისი სახელმწიფო კორპორაციების შექმნა. ამ კორპორაციებმა უნდა შექმნან გარანტია, რომ გლეხის მიერ მოწეული პროდუქცია იქნას მიღებული საბაზრო ფასებით. ჩაის განვითარების პერსპექტივებზეც ვსაუბრობთ, რომელიც ჩვენ რეგიონში უმნიშვნელოვანესი კულტურაა. უნდა დავაბრუნოთ გურიაში ჩაის კულტურა. დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ახალგაზრდების თემას, ავამუშავებთ ყველა ბერკეტს გურიის რეგიონის განვითარებისთვის.

პარტიის მხარდაჭერა საზოგადოების გადასაწყვეტია ამომრჩევლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატის გავლილ ცხოვრებას, დამოკიდებულებას ქვეყნის მიმართ, ერუდირებას და პროფესიონალიზმს, ასევე ის უნდა იყოს ადგილობრივი მკვიდრი. საცხოვრისი უნდა ჰქონდეს მხოლოდ ოზურგეთში, რადგან აქ მცხოვრებმა უფრო კარგად იცის ადგილობრივი პრობლემატიკა. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთ ადამიანზე უნდა გააკეთოს არჩევანი ამომრჩეველმა.

დაზუსტებით ვერ ვიტყვი რამდენ პროცენტს ავიღებთ, მაგრამ, ვფიქრობ დიდი შანსი გვაქვს გამარჯვების. 2014 წელს ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვწევს უნარი მოვიპოვოთ ხალხის მხარდაჭერა. ძალიან სერიოზული გუნდით ვეწევი წინასაარჩევნო საქმიანობას. მიმაჩნია, რომ გვაქვს ყველა წინა პირობა არჩევნებში გამარჯვების.

## დავით მამალაძე



პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე ისეთი სტრატეგიული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება, როგორიცაა მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მეთხილეობა, რომლითაც მოხდება აღნიშნული დარგების პროდუქციაზე ფასების დარეგულირება. გლეხს ეცოდინება ზუსტი ფასი. ასევე ყველა სოფელში უნდა შეიქმნას ამ პროდუქციის მიმღები პუნქტები, გლეხი ჩააბარებს მოწეულ პროდუქტს. ასევე უნდა განვითარდეს ტურიზმი, როგორც სამთო, ასევე საზღვაო.

მე წარმოვადგენ იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელმაც ძალიან დიდი სიკეთე გააკეთა ქართველი ხალხისათვის. ლეიბორისტულმა პარტიამ ხალხს უფასო განათლების და სამედიცინო დახმარების საშუალება მისცა, არ გაძვირებულა დენი 25 თეთრამდე. ამ ყველაფერში ლეიბორისტული პარტიის დიდი ღვაწლია. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი პარტია უფრო მეტს შეძლებს ხალხისთვის.

საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას დღეს ალტერნატივა არ გააჩნია.

## თემურ სალუქვაძე

ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტული ღირებულება, ეს არის ადამიანი. პროგრამა მორგებული უნდა იყოს თითოეული ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებაზე.



თუ კონკრეტულად გურიაზე ვისაუბრებთ, გურია გამორჩეულია მრავალფეროვანი, განსხვავებული ზნე-ჩვეულებებით, რომელიც აერთიანებს საქართველოს.

გურიაში დევს საზოგადოების მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი,რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია.

მეორე პრიორიტეტი ბუნებრივი სიმდიდრეა. გურიში საკმაოდ ბევრი ბუნებრივი რესურსია, რომელსაც შეუძლია შექმნას რეგიონის ეკონომიკა. ეს რესურსები არცერთი ხელისუფლების პერიოდში არ ყოფილა გამოყენებული. წყალი, რომელიც დიდი რაოდენობით მოიპოვება, ტორფი - ენერგეტიკული საფუძველი, ტყის რესურსი. ეს ყველაფერი სწორად უნდა იყოს შეფასებული.

გურია სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი სექტორია, რომელიც უნდა განვითარდეს, ქართული ოცნება არასწორად მიუდგა ამ საკითხს. სოფლის მეურნეობის განვითარება იქცა სოციალურ დახმარებად.ადამიანისთვის საჩუქრად მიცემული თანხა არ შექმნის დოვლათს. მე, როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტს, მაქვს როგორც სამეცნიერო, ასევე საწარმოო გამოცდილება, ამიტომ ჩვენ უნდა შევუქმნათ ადამიანს პირობა,რომ საკუთარი შრომით შექმნას ეს დოვლათი, რომელიც არამარტო საკუთარი ოჯახის წინსვლას, არამედ სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ჩვენი პროგრამა არის რეალური,გუნდი კი მაღალკვალიფიციურია, ჩვენ ქართული ოცნების გამოჩენამდეც ვებრძოდით ძველ ხელისუფლებას, შემდეგ მოვედით ხელისუფებაში ქართულ ოცნებასთან ერთად. როდესაც დაპირებები არ იქნა შესრულებული ჩვენ დავტოვეთ ხელისუფლება.

ხალხმა არჩევანი უნდა გააკეთოს კანდიდატის ნდობის ფაქტორით, ვისი დანაპირები შეიძლება იყოს მართალი. ჩვენ თანამდებობა არ ვანაცვალეთ პრინციპებს, რაც მოსახლეობას უჩენს იმ განცდას,რომ გაიზარდოს ჩვენ მიმართ ნდობა, ჩვენში დაინახონ ის ადამიანები, რომლებიც დანაპირებს ფურცლებზე არ დატოვებენ.

რთულია პოლიტიკურ პროგნოზზე საუბარი. ოზურგეთის მაგალითზე ამომრჩეველთა გადმობირება ხდება სოციალური დახმარებებით, საჯარო სამსახურებიც აქტიურად მონაწილეობენ საარჩევნო შტაბში.ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ოცნების პოლიტიკური სხეული არ არსებობს. მე შემიძლია ვთქვა, გურულები სამართლიანი ხალხია, იცნობენ ჩვენ ოჯახებს, დარწმუნებულივარ ისინი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ამ გადმოსახედით ოპტიმისტურად ვარ განწყობილი არჩევნების მიმართ.

## არჩილ თალაკვაძე



ჩვენი გუნდის პროგრამული მიმართულებები არის: სწრაფი ეკონომიკური წინსვლა: ოზურგეთში სამეწარმეო პროექტების ხელშეწყობა, კოოპერაციული მეწარმეობის მხარდაჭერა, ე.წ. "სტარტაპების" დაფინანსება, ბიზნესზე ორიენტირებული საგადასახადო რეფორმები, ტურისტული პროექტების ხელშეწყობა და დაფინანსება, ერთიანი ბიზნეს სივრცის შექმნა, საგადასახადო დავების სისტემის რეფორმა, მიწის რეფორმა და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები. სოციალური განვითარება: საპენსიო რეფორმა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაძლიერება, სპორტისდაახალგაზრდული პროგრამების განხორციელება, განათლების სისტემის შემდგომი რეფორმირება. თავისუფლების დაცვა და დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა: სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომი განვითარება, საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა, გამოხატვის და მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, შშმ პირთა ინტერესებისდაუფლებების დაცვა, ბრძოლა ოჯახში ძალადობასა და ქალთამიმართ დისკრიმინაციასთან, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია. პრაგმატული საგარეო პოლიტიკა: დეოკუპაციის მისაღწევად ძალისხმევის გაგრძელება, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხრივაქტიური ძალისხმევა, რეგიონში უსაფრთხოების და მიმზიდველიაინვესტიციო, ასევე სატრანზიტო პარტნიორი სროლის გაძლიერება.

მე როგორც რიგითი ამომრჩეველი ოზურგეთის მაჟორიტარ სამი კრიტერიუმებით ავირჩევდი: 1. ახალი ტიპის ლიდერი, პოლიტიკოსი და მენეჯერი 2. კარგი განათლება საქართველოსა და ევროპაში და აშშ-ში 3. საქმის კეთების გამოცდილება და შედეგები 4. კონტაქტები დ აპრობლემების გადაჭრის უნარი, მხარდაჭერა 5. უცხოენების ცოდნადა თანამედროვე ინფორმაციის სწრაფი დამუშავების და გამოყენების უნარი 6. სუფთაწარსული.

ჩვენი პროგნოზით არჩევნებს მოვიგებთ პირველტურში. კვლევებიგვიჩვენებს, რომ ჩვენი რეიტინგი ოპოზიციური პარტიების ჯამურ რეიტინგს აღემატება.

## გოჩა ძიმისტარიშვილი



უპირველეს ყოვლისა გპირდებით კეთილსინდისიერად და პატიოსნად ვიმუშავებ ქვეყნისა და ოზურგეთელების სასიკეთოდ. ხელს შევუწყობ სასიცოცხლო პროექტების განვითარებას.

პრიორიტეტული საკითხია სოფელ მერიის და გურიანთის მხარეში წყლის პრობლემის მოგვარება. იქ არსებობს შემკრები ბასეინი, მხოლოდ გამოსაცვლელია მილები. დაახლოებით 1000-15000 ადამიანს შგვიძლია აღვუდგინოთ წყლის მიწოდება.

მინდა ოზურგეთში გაიხსნას სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი, სადაც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მოქალაქეებს შეეძლებათ გაიარონ უფასო გამოკვლევა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს მიეცეთ მინი კრედიტის გაცემის უფლება. მე პროფესიით იურისტი გახლავართ, ვიმუშავებ ამ საკითხებზე,რომ ვისაც არ აქვს შემოღობილი საკუთარი მიწის ნაკვეთი, მათ მიეცეთ მიზნობრივი გრძელვადიანი კრედიტი ამ ნაკვეთების შემოსაღობად. ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობა გამოსცადა ოზურგეთლებმა, რაც გამოიხატა შემდეგში, რომ საკრებულოში არც თუ ისე პატარა ხელფასი მქონდა. როცა საკითხი დადგა ხალხსა და ფულს შორის არჩევანი გავაკეთე ხალხზე. მე ვფიქრობ რომ მეორე ტურში აუცილებლად გადავალ, დაახლოებით 4000 ადამიანს შევხვდი წინასაარჩევნო პერიოდში, ეს შეხვედრები ამის საფუძველს მაძლევს. ყველა კანდიდატი სერიოზულ შედეგებს პროგნოზირებს, თუმცა ვის სასარგებლოდ გააკეთებს ოზურგეთელი საზოგადოება არჩევანს, ეს 8 ოქტომბრის შემდეგ გახდება ცნობილი. რაც შეეხება მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთაგან გამარჯვებულის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას საზოგადოება დეპუტატის ოთხწლიანი მუშაობის პერიოდში შეაჯამებს.

**სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამეტი'' ფარგლებში.**
**ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ''ღია საზოგადოება-საქართველოს'' პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.**

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

# მზე და პლანეტები

ადამიანები ოდითგანვე ესწრაფოდნენ გარკვევას სამყაროს შესახებ. მრავალი მეცნიერი აკვირდებოდა და სწავლობდა თუ რა იყო მზე, რა იყო მზის სისტემის პლანეტები და როგორ იყვნენ ისინი განლაგებული მზის ცენტრისაკენ, რა არის მზის გალაქტიკა და რამდენი პლანეტაა განლაგებული მის გარშემო.

ნებისმიერ განათლებულ ადამიანს ელემენტარული წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს ჩვენს გალაქტიკაზე, გარემომცველ სივრცეზე, რომლის გავლენითაც დედამიწა ბევრი რამ ხდება.

შევეცადე, შეძლებისდაგვარად საინტერესოდ მესაუბრა იმ მნიშვნელოვანი აღმოჩენების შესახებ, რომლებმაც ადგილი დაიმკვიდრეს, როგორც კაცობრიობის მნიშვნელოვანმა მიღწევებმა.

### მზე

მზე მზის სისტემის ყველაზე დიდი სხეულია, ის შეიცავს მზის სისტემის სრული მასის 99,8%-ს. მზის ატმოსფერო სხვადასხვა ფენისაგან შედგება, ესენია: ფოტოსფერო, ქრომოსფერო და კორონა.

ფოტოსფეროს უწოდებენ კაკკაშა სფეროს, რომელსაც უშუალოდ ვხედავთ ცაზე ყოველდღიურად. ფოტოსფეროს სისქე 300-მდე კილომეტრია, ხოლო ზედაპირული ტემპერატურა –5500 გრადუსი. სიღრმესთან ერთად მზის ტემპერატურა იზრდება და ცენტრში 15 მილიონ გრადუსს აღწევს.

მზე ყველა მიმართულებით ასხივებს. გაშვებულ იქნა საპლანეტათაშორისო ხომალდი „ულისე“, რომელმაც რამდენჯერმე შემოუარა მზეს პოლუსების მხრიდან და აქამდე უცნობი მრავალი ინფორმაცია გადმოსცა დედამიწაზე. მზიდან მზის სხივი დედამიწაზე აღწევს 7,8 წამის შემდეგ.

პლანეტების თანმიმდევრობით განლაგება მზიდან მათი დაშორების მიხედვით ასეთია: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეფტუნი და პლუტონი.

### მერკური

რომაულ მითოლოგიაში ახსნილია როგორც ვაჭრობის ღმერთი, ვაჭრებისა და მოგზაურთა მფარველი – ჰერმესი.

მერკურის დიამეტრია 4880 კმ. მზიდან დაშორება 58 მილიონი კილომეტრიც. მზის გარშემო მოძრაობის პერიოდია 0,24 კმ.

### ვენერა.

რომაულ მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი. დედამიწასთან ყველაზე ახლო პლანეტაა. ჩვეულებრივ ჩანს გამთენიისას და მზის ჩასვლის შემდეგ, როგორც კაშკაშა ვარსკვლავი. ეკვატორული დიამეტრია 12102 კმ. მზიდან საშუალო მანძილი - 108 მილიონი კმ. მზის გარშემო მოძრაობის პერიოდია 0,62 წელიწადი.

### დედამიწა

გეა. ბერძნულ მითოლოგიაში მიწისა და მიწისქვეშეთის ქალღმერთი. მისგან წარმოიშვა ყველაფერი. მათ შორის ღმერთები და ადამიანები.

დედამიწა ჩვენი სახლია, კაცობრიობის აკვანი. დედამიწის დიამეტრი 12 000 კილომეტრია, რაც მზის დიამეტრთან შედარებით 108-ჯერ ნაკლებია. ხოლო დედამიწასა და მზეს შორის მანძილი 149,6 მილიონი კილომეტრია. მზის გარშემო ბრუნავს ერთი წლის განმავლობაში, თავისი ღერძის გარშემო – 24 საათის განმავლობაში. მზის გასაწონასწორებლად დაახლოებით 300 ათასი დედამიწა დაგვჭირდებოდა. დედამიწას ჰყავს ერთი თანამგზავრი, მთვარე. მისი დიამეტრი – 3 476 კმ, დედამიწამდე მანძილი – 384 300 კმ. დედამიწის გარშემო ადამიანების მიერ შექმნილი 70 000-მდე ხელოვნური ობიექტია ბრუნვაში.

### მარსი

რომაულ მითოლოგიაში ომის ღმერთი. მზის სისტემის ერთ-ერთი დიდი პლანეტა – მარიხი. მზიდან დაშორება – 228 მილიონი კილომეტრი. მზის გარშემო მოძრაობის პერიოდი –1,88 წელიწდი. მის ზედაპირზე ჩანს ეროზიის კვალი, რაც შესაძლოა ოდესმე მარსზე წყლის არსებობაზე მიუთითებდეს. მარსს ორი თანამგზავრი ჰყავს ფობოსი და დეიმორი, რომლებიც ლეგენდის მიხედვით ომის ღმერთის შვილებია. შიში და საშინელება.

**გურამ ცერცვაძე.**

(გაგრძელება იქნება)


**იყიდება**

**ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძის ქ. № 8-ში 4 ოთახიანი ბინა.**

**ტელ: 555 91 08 65**


# სკანვორდი




## № 36-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – სოფიკო ჭიაურელი; სამკურნალო საშუალება – მალამო; პატარა ჭური – დერგი; დარაჯი – ყარაული; მცირე ლიტერატურული ნაწარმოები – ესე; ღორის დრუნჩი – დინგი; იტალიის საფირმო პროდუქტი – მაკარონი; განძი – უნჯი; სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში – ჯუმათი; დ. არაყიშვილის ოპერა – დინარა; მდინარე საქართველოში – არაგვი; მწყემსის სახლი – კარავი; მამაკაცის სახელი – ონისიმე; დროის საზომი – საათი; მდინარე ეკვადორში – აგუასიკო; გიგანტური ყინული – აისბერგი; ხელის ერთ-ერთი თითი – ცერი; პოეტი .... კალანდაძე – ანა; თბილისის დინამოს ტრაგიკულად დაღუპული მეკარე – სტეფანია; სავარცხლიანი ფრინველი – ოფოფი; ვაზის დაავადება – ჭრაქი; დონის ქალაქი – როსტოვი; ბალზაკის სახელი – ონორე; საფეხბურთო ილეთი – ფინტი; ტრამვაის წინამორბედი – კონკა; პატარა საწნახელი – ორე; კიდობნის ამგები – ნოე; მუსიკალური საკრავი – თარი; სასვენი ნიშანი – ტირე; მუცელში მეომართა დამმალველი ცხენი – ტროა; ავადმყოფობა – სენი; ორი ერთიანი ნარდში – იაგანი; ნაპოლეონის დედის სახელი – ლეტიცია; ქალაქი შვეციაში – მალმე; თვითმფრინავის სადგომი - ანგარი.

ძვირფასო მოსწავლეებო, სტუდენტებო, მასწავლებლებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დადგომას. გისურვებთ წარმატებებს სწავლასა და სწავლებაში!
შპს „გზამშენი 18“

სააქციო საზოგადოება „ენერგოპრო-ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვის-ცენტრი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

# სოფელ ასკანაში საბიბლიოთეკო მუშაობა განახლდა



**ალიონი.** 1892 წელს, სოფელ აკეთში თავდგირიძეთა საადგილმამულოში დაარსდა „გურიის სახალხო სამკითხველო.“

„ეს წიგნთსაცავი პირველია არათუ გურიისა, არამედ მთელი საქართველოსათვის, რა თქმა უნდა, ჩვენს სოფლებს მოგახსენებთ“-წერდა თედო სახოკია თავის „მოგზაურობანი.“

აკეთში წიგნთსაცავის გახსნის შემდგომ 4-5 წელიწადსი რამდენიმე სოფელში დაუარსებიათ სამკითხველოები.

„12 წიგნთსაცავი დაარსდა გურიაში, სახელდობრ ოზურგეთის, შემოქმედის, ლანჩხუთის, ასკანის, ბახვის, სურების, ჩიბათის, ნაგომრის, ნიგოითის, ჩოხატაურის, აცანისა და მიქელგაბრიელისა“-წერდა თედო სახოკია.

1893 წელს ს. ჭეიშვილს ქუთაისის გუბერნატორისგან თანხმობა მიუცია, რომელშიც წერია: „1893 წლის 27 იანვრის დადგენილებით სოლომონ ჭეიშვილს მიეცეს უფლება გახსნას ოზურგეთის მაზრის ასკანის თემში ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ს. ჭეიშვილი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი ცენზურის ყველა მოთხოვნისა, რაც საპასუხო უნდა იყოს ამ კანონით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო საქმიანობისა.“ (ელ. შევარდნაძე, „ძველი ასკანის ბიბლიოთეკა,“ გაზ. „ლენინის დროშა,“ 26 მარტი, 1963 წ.)

ასკანის თემში იმ დროს შედიოდა შემდეგი სოფლები: გვაბრათი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა (დელემური, თოფურიათი), დაბლა ვანისქედი (დიხაშხო), ფიჩხიჯვარი, მაღალი ეწერი.

ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორები, სოლომონთან ერთად იყვნენ მღვდლები: ბესარიონ ჯაველიძე და ექვთიმე თალაკვაძე; ასევე ივლიანე შევარდნაძე.მათ წერილით მიმართეს ასკანის თემის საზოგადოებას: „პატივცემულ საზოგადოებას. ყველა დამეთანხმება, რომ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზედ, ხოლო ყველაზე უფრო ძლიერი იარაღი გონებრივი წარმატებისთვის წიგნები და ჟურნალ-გაზეთებია, ვინც ასე თუ ისე, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს გზას გაუკვლევს ჩვენი სოფლებისკენ, დიდ სამსახურს გავუწევთ გონებით მეტად დაქვეითებულ სოფელს, რომელსაც ათასი სხვადასხვა შემავიწროებელი გარემოება ნებას არ აძლევს იფიქროს თავის სულიერ წარმატებაზედ. ჩვენ განვიზრახეთ ს. ასკანაში დავაარსოთ სახალხო წიგნთსაცავი და ნებართვაც ავიღეთ მთავრობისაგან, ხოლო ერთი-ორი კაცის ცდა საკმაო არ არის ამ ძნელი საქმია გასაძღოლად.

მივმართავთ ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნის ერთგულია და ვისაც ახარებს ჩვენი მოძმის სულიერი წარმატება და ვთხოვთ, ფულად ან წიგნებით დახმარება გაუწიოს ასკანის მეტად ღარიბ წიგნთსაცავს.

ყოველი შემოწირულობის ანგარიში გაზეთის საშუალებით გამოცხადება. შემოწირულობა მიიღება ოზურეთში —სოლომინ ჭეიშვილის და ასკანაში ივლიანე შევარდნაძესთან.“

შემოწირულობები გაიღეს, თითქმის მეტ-ნაკლებად, ყველა შეძლებულმა ადამიანმა, ვისაც გააჩნდა ეკონომიკური ძალისხმევა, ზოგმა წიგნის სახით, ზოგმა ფულის სახით მიაწვდინეს ასკანის ბიბლიოთეკას ხმა ბათუმიდან, თბილისიდან, ფოთიდან, ქუთაისიდან და ა.შ.: „ივლიანე ჭეიშვილმა 10 მანეთი; ტარასი ჩხაიძემ —9; ვლადიმერ ნაცვალაძემ —6; ბესარიონ თალაკვაძემ, ნინო ასათიანმა, ნანიკო ჭეიშვილმა, ვლადიმერ სიამაშვილმა, ყარამან ნინიძემ —4-4 მანეთი; ივლიანე ნემსაძემ და ივლიანე შევარდნაძემ 2-2 მანეთი; მელიტონ ჭეიშვილმა, თომა ჭელიძემ, ბარნაბ თალაკვაძემ, ფედოსი ვასაძემ, თეკლე, ნინო, ელისაბედ ჭეიშვილებმა თითო მანეთი...“

ბიბლიოთეკა-სამკითხველო მდებარეობდა ეკლესიასთან. მისი შენახვის, გამდიდრებისა და განახლების ხარჯები იკრიბებოდა ბიბლიოთეკის წევრთა საერთო გადასახადებიდან, კერძო შემოწირულობებისაგან, ალეგრო-საღამოებისაგან, საქველმოქმედო ბაზრებისაგან. საბალახო მიწები, რომელიც ასკანის თემს ეკუთვნოდა, წელიწადში გარკვეულ თანხად ქირავდებოდა, როგორც საძოვარ-სათიბები. სომლიის, ფურნიების, დიდი ბაისურას გაქირავებით შემოსული თანხებიდან პირველი შესატანი შედიოდა ხაზინაში, რაც რჩებოდა, იგი გადაეცემოდა კანცელარიას ბიბლიოთეკისათვის.

1901 წელს ასკანის ბიბლიოთეკაში 901 წიგნი იყო დაცული.ზაფხულობით ბიბლიოთეკის ნაწილი ბახმაროზე გადაჰქონდათ.

რეაქციის წლებში (1907 წ.)- მთავრობამ ბიბლიოთეკა დახურა.- ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის მოწერილობით 1914 წლის 10 სექტემბერს გაცემული მოწმობით დასტურდება, რომ „ასკანის ქალთა და ვაჟთა ორკლასიანი სასწავლებლის მზრუნველს სოლომონ ჭეიშვილს ნება ეძლევა გახსნას ოზურგეთის მაზრის სოფელ ასკანაში ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მისი გამგებლობა და პასუხისმგებლობა ეკისრება მღვდელ ერმალო ჯაველიძეს, მასვე დაევალოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოვლისათვის მტავრობისა და კანონის ყველა მოთხოვნის შესრულება (წიგნიდან „ასკანის ქვეყანა“ ე. გოგუაძე, ც. ნიკოლაიშვილი).

* * *

ეს ისტორია იმისთვის მოვიყვანეთ, რომ წინა ხელისუფლებების დროს ბიბლიოთეკების ასე მასიური დახურვა არ იყო გონივრული ნაბიჯი. დრომ აჩვენა, რომ კომპიუტერის საუკუნეში წიგნის ფუნქცია არ დაკარგულა.

30 აგვისტოს „ასკანობას“ კვლავ განაახლა მუშაობა ასკანის ბიბლიოთეკამ. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სოფლის პატრიოტი ადამიანების მიერ შენახული იყო და ახლა იგი კვლავ მკითხველთა სამსახურში იქნება.

—სოფელ ასკანას მდიდარი ტრადციები აქვს და აქ ბიბლიოთეკა საუკუნის წინათ არსებობდა. სოფელს ყოფილი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შენახული აქვს. ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ასკანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ბადრი ჯაველიძემ გვთხოვა ბიბლიოთეკის აღდგენა. მუნიციპალიტეტმა მხარი დაუჭირა და „ასკანობას“ სოფელში ბიბლიოთეკა კვლავ გაიხსნა ბიბლიოთეკა —გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების უფროსმა რუსუდან მემარნიშვილმა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ და „სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების“ ხელმძღვანელმა რუსუდან მემარნიშვილმა ასკანის ბიბლიოთეკას საჩუქრად ახალი წიგნები გადასცეს. ბიბლიოთეკას რამდენიე ახალი წიგნი გაზეთ „ალიონის“ რედაქციამაც გადასცა.

# ჩვენი საზრუნავი

„მიხედეთ მიწას, მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ“. ეს ჩვენი უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის მოწოდებაა და ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს სოფლის აღორძინებისათვის, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში აღარ ვხედავდეთ მიტოვებულ საკარმიდამო ნაკვეთებს, გაველურებულ და ეკალ-ბარდით დაფარულ მინდვრებს, მოუვლელ ჩაის პლანტაციებს და სხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვირწმუნოთ ,რომ ჩვენს მიწა-წყალზე ზრუნვა მხოლოდ ჩვენ გვევალება. დროა მოუბრუნდეთ ჩვენ სოფლებს, ამაზე მეტი გაჭირვება გადაუტანია ქართველ ხალხს ისტორიულად ,მაგრამ ქართული სოფელი და გლეხის ფენომენი არ განადგურებულა.

იმედის მომცემია საქართველოში და კერძოდ გურიის რეგიონში ბოლო წლებში ხელისუფლების მიერ გაწეული საქმიანობის ანალიზი (ალიონი 27, 4.07.2016წ) სადაც საუბარია იმ პერსპექტიულ ინვესტიციებზე რომელიც უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის კუთხით. აქცენტები აღებულია თხილის, ციტრუსების, ჩაის, ვაზისა და სხვა კულტურების წარმოების მაჩვენებლებზე,მეცხოველეობის ,მეფუტკრეობის ზრდის ტემპებზე.

სასიამოვნო ფაქტია გაზეთ „გურია ნიუსის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილი დაბა ნასაკირალში მცხოვრებ ჯემალ მგელაძის კარ-მიდამოს პოტენციური შესაძლებლობების თაობაზე . ოჯახი რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებითაა დაკავებული ბრწყინვალე შედეგებს აღწევს. ბევრი ასეთი გლეხი ,ინდ-მეწარმე,ფერმერი ყავს გურიის რეგიონს, მაგრამ ერთ დროს აყვავებულ, გაბრწყინებულ რეგიონში დღეს ბევრია გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი,უმეტესობა კი თურქეთშია სამუშაოდ გახიზნული. დღეს გლეხს უნდა დაუბრუნდეს ნდობა და მოტივაცია თითოეული გოჯა მიწის მიმართ. მიწას მუშაობა უყვარს, ასე იყო ისტორიულად და ასე დარჩება მომავალში. გლეხმა , ფერმერმა უნდა გაანალიზოს, რომ მის მიერ სწორად ორგანიზებული მეურნეობა იქნება მომგებიანი როგორც მისთვის ისე სახელმწიფოსათვის.

სამწუხაროდ სოფლად სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარება სტიქიურ ხასიათს ატარებს და ვერ ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალისტების სიმცირის გამო. ფერმერები განიცდიან საინფორმაციო ვაკუუმს.

გურიის რეგიონი ბედნიერია იმით, რომ აქ 80 წლის მანძილზე ფუნქციონირებდა ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი, რომელმაც მსოფლიო მასშტაბით უპრეცედენტო შრომა გასწია ჩვენს ქვეყანაში სუბტროპიკული კულტურების სამრეწველო მაშტაბით განვითარებისათვის.

1. აქვე ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“, რომელსაც სრული შესაძლებლობა აქვს მიაწოდოს მოსახლეობას ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლო შეთანაწყობაზე, მათი სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ გურიის რეგიონში ფერმერულ მეურნეობათა სავარგულები მონო კულტურებით იქნას დაკავებული, რასაც სამწუხაროდ უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს თხილის კულტურის სახით. რაც შეეხება ჩაის კულტურას ის ყოველთვის იყო და იქნება სტაბილური შემოსავლის წყარო, როგორ ჩვენი ნიადაგურ-კლიმატურ პირობებისადმი შეგუებული და ყოველწლიურად მოსავლიანი კულტურა. ასევე მნიშვნელოვანია ციტრუსოვანთა კულტურების გაშენება ,მხოლოდ მათთვის დარაიონებულ, ნაკლებად ყინვასაშიშ ზონებში. მნიშვნელოვანია აქტინიდიის, სუბტროპიკული ხურმის, ფეიჰოას, ლურჯი მოცვის, ვაზის, დაფნის, ბამბუკის, კაკლის, ხეხილის და სხვა კულტურების გაშენება. ასევე საკარმიდამო ნაკვეთებზე ადგილი უნდა გამოიყოს მარცვლეული კულტურების, ბოსტან- ბაღჩეულის გასაშენებლად, ისინი აუცილებელია შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად, მეცხოველეობის გასანვითარებლად.

გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში კულტურათა ფართო ასორტიმენტით წარმოება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ ზოგიერთ წლებში მკაცრი კლიმატური პირობებით გამოწვეული ზარალი, ასევე მხედველობაშია მისაღები მავნებელ დაავადებათა მასიური გავრცელების პირობებში (მაგ: ამერიკული პეპელა თხილზე) ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, რასაც სამწუხაროდ ვერ მივაღწევთ მონო კულტურით განაშენიანების შემთხვევაში.

კულტურათა ფართო ასორტიმენტით წარმოება მნიშვნელოვანია ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გურიის რეგიონის ფერმერულ და გლეხურ მეურნეობათა უმეტესობა გორაკ-ბორცვიან ზონაშია განლაგებული, სადაც გვხვდება ფერდობები, ხევები, ვაკე ადგილებიც, ამიტომაც კულტურათა განლაგების დროს მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ ცალკეულ მცენარეთა ბიო-ეკოლოგიური მოთხოვნები ადგილმდებარეობის ექსპოზიციის,მიკროკლიმატისა და ნიადაგის ტიპის მიმართ. ასე მაგალითად: ჩაი, ციტრუსები და თხილი შესაძლებელია გავაშენოთ ფერდობ ადგილებზე რითაც უზრუნველვყოფთ ეროზიული მოვლენების შემცირებას ან თავიდან აცილებას. აქტინიდია, ვაზი, ლურჯი მოცვი, ფეიჰოა, ბოსტან-ბაღჩეული, მარცვლეული და სხვა უმჯობესია გაშენდეს ვაკე ან ოდნავ დაქანებულ ადგილებზე. ბამბუკი, დაფნა, კაკალი,წყავი კი შესაძლებელია გავაშენოთ ჩაღრმავებულ ხევისპირა ადგილებში. ხეხილოვანი

2. კულტურები ცალკეული ნარგაობის სახით უმჯობესია გაშენდეს ცენტრალური ან

საბილიკო გზის გასწვრივ, რომლებიც ძირითად ფუნქციასთან ერთად ქარსაფრის და საჩრდილობლის დანიშნულებასაც შეასრულებენ. მხედველობაში არ უნდა გამოგვრჩეს თითოეული კულტურის მოთხოვნილება ნიადაგის თვისებების მიმართ,რაც დადგენილი უნდა იქნას ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის საფუძველზე,რასაც შეასრულებს ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“, რომელიც წარმოადგენს ექსტენციის სამსახურის ერთ-ერთ რგოლს და შუამავალია მეცნიერებასა და წარმოებას შორის.მას გააჩნია მნიშვნელოვანი სამეცნიერო პოტენციალი და ლაბორატორიული აღჭურვილობა იმისთვის, რომ მოემსახუროს ფერმერთა ფართო მასებს რათა მათ მოახდინონ თავიანთი მეურნეობების რეორგანიზაცია, შექმნან სუფთა ეკოლოგიური გარემო,აწარმოონ ნატურალური საკვები რაც ყველაზე ძვირადღირებული სიმდიდრეა კაცობრიობის გადასარჩენად. ამის საშუალება ჩვენ ქართველებს ჯერ კიდევ საკმარისად გაგვაჩნია თუ მას მეცნიერული კვლევის საფუძველზე განვახორციელებთ.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

**ზაურ გაბრიჩიძე-**
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათ დოქტორი,პროფესორი,
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის
უფროსი სპეციალისტი.



**გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ძვირფასო პირველკლასელებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო და პედაგოგებო!**

განსაკუთრებულად ამაღლებული გრძნობებით ვეგებებით ახალი სასწავლო წლის დაწყებას, რადგან დრო დგება ცოდნის გაღრმავების, ახალი გამოწვევე-ბის. გისურვებთ, ცხოვრების ამ გზაზე მიგეღოთ საუკეთესო ცოდნა და გქონოდეთ წარმატებული სასწავლო წელი. სახელმწიფო მზადაა ხელი შეგიწყოთ საფუძვლიანი განათლების მიღებაში!

პატივისცემით,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

(დ)



**ძვირფასო მოსწავლეებო, სტუდენტებო, პედაგოგებო, მშობლებო,**

გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ღრმად მწამს, რომ ჩვენი შვილები მაქსიმალურად გამოიყენებენ ყველა იმ სიკეთეს, რასაც დღეს ვთავაზობთ ცოდნის დაუ-ფლებისა და გაღრმავებისათვის. დღეს ახალი ძალით განახლდება ყოველდღიური შრომა ქვეყნის სიძლიერის განსამტკიცებლად. გისურვებთ წარმატებებს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. ამ დღეს განსაკუთრებით ვულოცავ მათ, ვინც პირველად შეაღო სკოლის კარი. წარმატებულ, საინ-ტერესო და ნაყოფიერ სასწავლო წელს გისურვებთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**დიმიტრი კვერღელიძე**

(დ)



ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულო-ცავ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის პედაგოგს, მოსწავლეს, მშობელს. ყვე-ლა ახალგაზრდას ვუსურვებ ჩვენი სამშ-ობლოს ღირსეული შვილი გამხდარიყოსნ ღმერთი იყოს თითოეული თვენთაგანის მფარველი!

**გელა ჭანუყვაძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედ-ველობის სამსახურის განყოფილების უფროსი.

(დ)

## იუბილარი



ქალაქ ოზურგეთის მუნიცი-პალიტეტის მერიის სამხედრო სამ-სახური ულოცავს თანამშრომელს და მეგობარს **ვანო ქუთათელაძეს** 70 წლის იუბილეს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს.

(დ)


## საბანკეტო დარბაზი „ელეგანტი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



(რ)

ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №2

## შპს. „ვასაძის პური“ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!



(რ)

ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპიკოპოსის ქ. №1

## სს „ტრანსსერვისი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



(რ)

ტაქსი გამოძახებით: (0496) 275544; 0790055445

## სს „იმედი“ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!



გვეწვიეთ, ჩვენთან სასწავლო ნივთების ფართო არჩევანია! (რ)


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +13+25 | მზე, ღრუბელი +15+24 | წვიმა, +14+22 | მზე, ღრუბელი +12+25 | წვიმა, +11+18 | მცირე წვიმა, +12+18 | მზე, +14+20 |
| 12 სექტემბერი ორშაბათი | 13 სექტემბერი სამშაბათი | 14 სექტემბერი ოთხშაბათი | 15 სექტემბერი ხუთშაბათი | 16 სექტემბერი პარასკევი | 17 სექტემბერი შაბათი | 11 სექტემბერი კვირა |